მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

დაწესებულების შესახებ ინფორმაცია

დაწესებულება	ბრიტანულ-ქართული აკადემია
საიდენტიფიკაციო კოდი	204497829
რეგიონი	თბილისი
რაიონი	ვაკე-საბურთალო
მისამართი	ლისის მიმდებარე ტერიტორია
საფოსტო ინდექსი	0186
დაწესებულების ვებ-გვერდი	www.bga.ge
დაწესებულების ელ-ფოსტა	bga@bga.ge
ტელეფონი/ფაქსი	+99532 2251253; +99532 2294295
დაწესებულების ხელმძღვანელი	
სახელი და გვარი	ნათია ჯანაშია
ტელეფონი	+995 577 227 226
ელ-ფოსტა	natia.janashia@bga.ge
დაწესებულებაში მოსწავლეებისა და პედაგოგების რაოდენობა	
პედაგოგი	38 (ჩვენს ხელთ არსებული 2017 წლის მონაცემებით)
სერტიფიცირებული პედაგოგი	19 (ჩვენს ხელთ არსებული 2017 წლის მონაცემებით)
მოსწავლე/სსსმ მოსწავლე	409/0 (ჩვენს ხელთ არსებული 2017 წლის მონაცემებით)
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	
გადაწყვეტილების ნომერი	N50 (13.07.2017)
მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	635

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

დაწესებულება ახორციელებს

დაწყებით ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას	■
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას	■
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას	■
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას	□

ინფორმაცია მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის შესახებ

მონიტორინგის განხორციელების საფუძველი	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 30 აგვისტოს № 795 ბრძანების საფუძველზე
მონიტორინგის ჯგუფის წევრები	პეტრე ბაბილუა ლალი ბერიშვილი
ვიზიტის განხორციელების პერიოდი	30.08.2018-31.08.2018
დასკვნის მომზადების თარიღი	24.09.2018

ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდა შემდეგი

I. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას

აღწერა	ბრიტანულ - ქართული აკადემიის სკოლის მისიაში ვკითხულობთ

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

	„ ჩვენი ღირებულებები ჩვენ გვჯერა რომ: • განათლება დღევანდელ დინამიკურ და სწრაფცვლილებად გლობალურ სამყაროში წარმატების მიღწევის აუცილებელი წინაპირობაა; • ყველა ბავშვს შეუძლია სწავლა. აკადემიური წარმატების მიღწევა შეუძლია თითოეულ მოსწავლეს; • ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს საკუთარი უნიკალური პოტენციალის სრულად გამოვლენის შესაძლებლობა; • თითოეული ბავშვი უნიკალურია და იმსახურებს ყურადღებასა და პატივისცემას; • განათლება ერთობლივი პროექტია. სკოლა, მოსწავლე, ოჯახი და საზოგადოება პარტნიორები უნდა იყვნენ მოსწავლის განათლების პროცესში.“ სასკოლო სასწავლო გეგმა არ გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და არ შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას . კერძოდ დარღვეულია: ✓ კანონი ზოგადი განათლების შესახებ მუხლი 13. პუნქტი 3 : “დაუშვებელია სკოლაში მიღების რაიმე სახის დისკრიმინაცია….”

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

	პუნქტი 5: "ნებისმიერი განმასხვავებელი ქმედება ან გამონაკლისის დაშვება ჩაითვლება დისკრიმინაციად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი ქმედება ან გამონაკლისი სამართლიანი და გონივრულია, ემსახურება თითოეული პირისა და ჯგუფის თავისუფალი განვითარებისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას". ✓ ასევე ეროვნული სასწავლო გეგმის კარი I, მუხლი 11 , პუნქტი ბ *მუხლი 11. სწავლა-სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის დაცვა სწავლა-სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის დაცვის მიზნით:* *ბ) დაუშვებელია, რომ საჯარო სკოლამ დააწესოს ბარიერები მოსწავლეთა მიღებასთან დაკავშირებით და მიიღოს მხოლოდ სასკოლო მზაობით გამორჩეული ან მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეები. ამ პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება საგნის/საგნების გაძლიერებული სწავლების სტატუსის მქონე საჯარო სკოლისთვის;* ბრიტანულ-ქართულ აკადემიას კი დაწესებული აქვს ბარიერები მოსწავლეთა მიღებასთან დაკავშირებით - **აკადემიის სასწავლო დებულებაში ვკითხულობთ** „ აკადემიაში ჩარიცხვის წესები მუხლი 36. მოსწავლეთა აკადემიაში ჩარიცხვის პირობები 36.1. მოსწავლეთა აკადემიაში მიღების პროცედურას წარმართავს ადმინისტრაციული მენეჯერი. აკადემიაში მოსწავლეთა მიღება მიმდინარეობს I-XI კლასებში. 36.2. აკადემიაში ჩარიცხვისა და საბუთების მიღების ვადებს ადგენს აკადემიის დირექცია. 36.3. კადემიაში ჩარიცხვის მსურველები გადიან შემდეგ 4 ეტაპს: 36.3.1. შევსებული სააპლიკაციო ფორმისა და საბუთების შეტანა; 36.3.2. **გასაუბრება (I კლასი) ან ტესტირება (II-XI კლასები);**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

	36.3.3. დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა; 36.3.4. აკადემიასთან ხელშეკრულების/ კონტრაქტის გაფორმება. 36.5. **ტესტირება** - აკადემიაში II-XI კლასებში ჩარიცხვის მსურველმა წარმატებით უნდა გაიაროს ტესტირება შემდეგ საგნებში: **36.5.1. ქართული ენა და ლიტერატურა;** **36.5.2. მათემატიკა;** 36.5.3. ინგლისური ენა. ✓ გ. გ. მშობლისთვის მიწერილ წერილში აკადემია ასე განმარტავს ბავშვის ჩარიცხვასთან დაკავშირებით მოსწავლისთვის უარის თქმის მიზეზს: „ჩვენ არ შეგვიძლია თქვენი შვილის გ. გ. მიღება პირველ კლასში. ადგილების შეზღუდული რაოდენობის გათვალისწინებით მრავალ აპლიკანტს შორის პრიორიტეტი მიენიჭა კანდიდატებს, რომლებიც ყველაზე მეტად აკმაყოფილებენ სკოლის მიღების კრიტერიუმებს“. მოსწავლის მშობლისთვის მიწერილი წერილის შინაარსიცა და სასწავლო დებულების **მუხლი 36.** ეწინააღმდეგება აკადემიის მისიის შემდეგ პუნქტებს: • ყველა ბავშვს შეუძლია სწავლა. აკადემიური წარმატების მიღწევა შეუძლია თითოეულ მოსწავლეს; • ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს საკუთარი უნიკალური პოტენციალის სრულად გამოვლენის შესაძლებლობა;
დადასტურება/დანართი	http://bga.ge/ka/philosophy/ სკოლის მისია **ბრიტანულ-ქართული აკადემიის სასწავლო დებულება**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

შეფასება	დარღვეულია: ✓ კანონი ზოგადი განათლების შესახებ - მუხლი 13.პუნქტი 3 და პუნქტი 5 ✓ ეროვნული სასწავლო გეგმის კარი I, მუხლი 11 , პუნქტი ბ

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად

აღწერა	სკოლაში მიღებისა და შეფასების კრიტერიუმები არ არის ცხადი და გამჭვირვალე. სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია აკადემიაში მიღების პროცედურები და ეტაპები: „ ბრიტანულ-ქართულ აკადემიაში მოსწავლეთა მიღება ხდება ტესტირებისა და გასაუბრების საფუძველზე. მოსწავლეთა შერჩევის დროს, აკადემია ხელმძღვანელობს წინასწარ განსაზღვრული მიღების პროცედურებით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს - იქნება თუ არა აკადემიის გარემო და სასწავლო პროგრამები სამომავლო წარმატებისთვის ხელის შემწყობი. აკადემია არ ახდენს დისკრიმინაციას რასის, სქესის, რელიგიის, კულტურისა და ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით. მიღების ეტაპები • **სააპლიკაციო ფორმა და აპლიკაციის განხილვის გადასახადი** - რეგისტრაციის მსურველებმა აკადემიის ადმინისტრაციაში უნდა წარმოადგინონ შევსებული სააპლიკაციო ფორმა, შესაბამისი დოკუმენტაცია და გადაიხადონ აპლიკაციის

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

	განხილვის საფასური. ნებისმიერი გადაწყვეტილების შემთხვევაში აპლიკაციის განხილვის მოსაკრებელი არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას. • **ტესტირება და გასაუბრება მოსწავლესთან** - სააპლიკაციო ფორმის წარმოდგენის შემდეგ, სკოლამდელ განათლების ცენტრში და I კლასში ბავშვების მიღებისას, ინიშნება გასაუბრება მოსწავლესთან. II-X კლასის მოსწავლეებისათვის ინიშნება ტესტირება და გასაუბრება. • **გასაუბრება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან** - მოსწავლის მიერ გასაუბრებისა და ტესტირების ეტაპების გავლის შემდეგ დაინიშნება შეხვედრა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან. და ა.შ." მოსწავლეთა შეფასების/ შერჩევის კრიტერიუმები არაა განთავსებული ვებ-გვერდზე. ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისადმი გამოგზავნილ წერილში (13 ივლისი 2018 წელი, წერილი N 904847)მითითებულია: მიღების სტანდარტები/კრიტერიუმები: „აკადემია მიიღებს მოსწავლეებს: • რომლებიც მზად არიან დაამყარონ თანამშრომლობითი ურთიერთობა მოსწავლეებთან, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან. ასევე, მზად არიან გაიზიარონ და იმოქმედონ აკადემიის ქცევისა და დისციპლინის კოდექსით გათვალისწინებული წესებისა და რეგულაციების შესაბამისად. • რომლებსაც აქვთ მაღალი აკადემიური მოსწრება; • რომლებიც წარმატებით გაივლიან ბრიტანულ-ქართული აკადემიის მისაღებ ტესტირებასა და გასაუბრებას;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

	• რომლებთაც გააჩნიაათ თანატოლებთან პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობისა და კლასში მოწესრიგებული ქცევისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები.“ გაუგებარია, როგორ უნდა გაიზომოს მოთხოვნილი ჩამონათვალის პირველი და მეოთხე კრიტერიუმები.
	ამავე წერილის მე-4 გვერდზე ვკითხულობთ, რომ „...სკოლამდელი განათლების ცენტრში და პირველ კლასში ბავშვების მიღებისას ინიშნება გასაუბრება მოსწავლესთან.“ გ. გ. სწავლობდა ბრიტანულ-ქართული აკადემიის სკოლამდელი განათლების ცენტრში ორი წლის განმავლობაში. ცენტრში სწავლის დასრულებისას გ. გ.-მ გაიარა აკადემიაში მისაღები სტანდარტული პროცედურები თუმცა, როგორც გ. გ.-ს კანონიერი წარმომადგენლის განათლების და მეცნიერების სამინისტროსადმი მიწერილი წერილიდან იკვეთება, მშობლისათვის არავის განუმარტავს შეფასების კრიტერიუმები. აკადემიამ ცენტრს მიაწოდა სასკოლო მზაობის შეფასების ინსტრუმენტი (13 ივლისი 2018 წელი, წერილი N 904847, გვ 13) . დოკუმენტი წარმოადგენს ამერიკის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების ცენტრისა (NCLD,2006) და „სასკოლო მზაობის პროგრამა ბასკოს“ (2014) პუბლიკაციების ადაპტირებულ ვერსიას. სასკოლო მზაობის პროგრამა ბასკო , ისევე, როგორც სხვა მეთოდური მასალები, შემუშავებული “კივიტას გეორგიკას“ და “ედუკატორის“ პროექტის ფარგლებში, ეყრდნობა გაეროს ბავშვთა ფონდის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებულ ადრეულ ასაკში ბავშვის განვითარების სტანდარტებს და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

	სამინისტროს მიერ დამტკიცებულ სკოლამდელი განათლების მიზნებს. ხოლო განათლების სამინისტროს სასკოლო მზაობის პროგრამაში ვკითხულობთ *„სტანდარტის შინაარსი, სტრუქტურა და მიზნები* ***„ სტანდარტების გამოყენება დაუშვებელია:*** • *სტანდარტების გამოყენება* ***დაუშვებელია*** *ბავშვის ფიზიკური თუ გონებრივი უნარების სამედიცინო ან მეცნიერული შეფასებისათვის. სტანდარტებში ჩამოყალიბებული ინფორმაციის გამოყენება არ შეიძლება ბავშვებისათვის "იარლიყის" მინიჭების მიზნით ან ბავშვების აღრიცხვაზე აყვანისა და მათი სწავლების* ***შემდეგ საფეხურზე გადაყვანის შეფერხების მიზნით;*** • *დაუშვებელია სტანდარტების დოკუმენტში ასახული მოლოდინებისა და სურვილების* ***ნორმატივად*** *გამოყენება, როდესაც ვაფასებთ ბავშვის განვითარებასა და მიღწევებს სწავლაში. სტანდარტში მითითებული ვადები მხოლოდ საორიენტაციო ხასიათისაა და არ ნიშნავს, რომ ყველა ბავშვს კონკრეტულ ასაკში უნდა შეეძლოს ამა თუ იმ ინდიკატორის ჩვენება (ითვლება, რომ სტანდარტებში მოცემული ინდიკატორების ჩვენება შეუძლია ბავშვების 40-60%-ს). ....* • *წინამდებარე დოკუმენტი* ***არ წარმოადგენს ბავშვის განვითარების ნიშნების ნაკრებს,*** *ეს არის დამხმარე საშუალებასწავლა-აღზრდის პროცესის წარმართვისათვის. თუ ბავშვი მიეკუთვნება განსაკუთრებული საჭიროების მქონეთა კატეგორიას, მისთვის ექიმების, ფსიქოლოგების, პედაგოგებისა და სხვა სპეციალისტების მონაწილეობით უნდა შეიქმნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელშიც აისახება სტანდარტით განსაზღვრული ყველა სფერო, მაგრამ*

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

	წარმოდგენილი იქნება კონკრეტული ბავშვისათვის შემუშავებული ინდიკატორები, რომლებიც ხელს შეუწყობს მის განვითარებას.“ შესაბამისად, ამ დოკუმენტის გამოყენება არაა მიზანშეწონილი ბავშვის მზაობის შესაფასებლად და შესაბამისად, მისთვის პირველ კლასში ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველი არ შეიძლება იყოს.
დადასტურება/დანართი	• განათლების სამინისტროს სასკოლო მზაობის პროგრამა http://ncp.ge/preschool-education/general-part/damkhmare-sakhelmdzghvaneloebi • ბრიტანულ -ქართული აკადემიის წერილი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისადმი (13 ივლისი 2018 წელი, წერილი N 904847) • www.bga.ge
შეფასება	დარღვეულია: ✓ კანონი ზოგადი განათლების შესახებ მუხლი 13. პუნქტი 3 და პუნქტი 5 ✓ ეროვნული სასწავლო გეგმის კარი I, მუხლი 11 , პუნქტი ბ

სულ დანართი	

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

რეკომენდაციები:
ბრიტანულ-ქართულმა აკადემიამ „აკადემიაში ჩარიცხვის წესები“ მოიყვანოს საკუთარ მისიასთან შესაბამისობაში და ასევე კანონი ზოგადი განათლების შესახებ (მუხლი 13, პუნქტი 3 და პუნქტი 5) და ეროვნული სასწავლო გეგმის (კარი I, მუხლი 11, პუნქტი ბ) შესაბამისობაში. სკოლაში მიღებისა და შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს ცხადი, გამჭირვალე და დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომი. შესაბამისად უნდა გადაიხედოს ვებ-გვერდზე მოცემული ინფორმაცია.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....